PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ კოლეჯ „იბერიას“ მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე: ირმა ღარიბაშვილი

წევრები:

მანანა კობალაძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი „იბერია“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ კოლეჯ ,,იბერიას“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2021 წლის 9 და 10 მარტს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ და საფასურის გადახდის ქვითარი (ცენტრში რეგისტრაციის № 208430 და № 213384).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 მარტს ბრძანების (№245696) მიხედვით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);

ბ) მანანა კობალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს წინასწარ მოგვეწოდა კოლეჯის მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადი პროგრამის დამატების შესახებ და სხვა თანდართული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა წინასწარ შეისწავლეს აღნიშნული მასალები და კოლეჯიდან ოფიციალურად გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშვა „ვიზიტის დღის წესრიგი“, რომელიც წინასწარ გადაეგზავნა კოლეჯს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობა დისტანციურად გაიმართა 01 აპრილს დღის 10:00 საათიდან. გასაუბრება ჩატარდა პლატფორმა ,,ზუმის“ მეშვეობით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობა.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობები. შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

მასწავლებლებთან და კომპანიების წარმომადგენლებთან - ინსტრუქტორებთან, შემოწმდა კოლეჯის მატერიალური რესურსი, ექსპერტებმა დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები.

ექსპერტებმა მოისმინეს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს, მათი გამოყენების დამადასტურებელ საბუთებსა და კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა ადამიანური რესურსის პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმა კოლეჯის ვებგვერდი, კატალოგი.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას.

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და კონსტრუქციულ ვითარებაში დღის წესრიგის შესაბამისად.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება დ აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტი, რომელიც განხორციელდა კოლეჯ „იბერიაში“ წარმოადგენდა მონიტორინგს. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები ეხებოდა ძირითადად საქმის წარმოების საკითხებს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის მხრიდან მონიტორინგის ვიზიტის დროს გასწორდა ხარვეზების ნაწილი. მაგ. ექსპერტთა მიერ დადგენილი ხარვეზი -„**სილაბუსებში გაწერილ შეფასების წესსა და კოლეჯის „შინაგანაწესში“ გაწერილ შეფასების წესს შორის აღინიშნა შეუსაბამობა“ , აღმოიფხვრა ექსპერტების ვიზიტის პერიოდში დირექტორის 2018 წლის 01 მაისის ბრძანება №108-ის საფუძველზე. ვიზიტის პერიოდში ყველა მოქმედი პროგრამის სილაბუსში შეფასების წესი ჩასწორდა შინაგანაწესის შესაბამისად.** ვიზიტის პროცესში დაწესებულების მიერ გასწორებული დოკუმენტაცია ექსპერტთა მიერ დანართების სახით იქნა წარდგენილი საბჭოზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

რეკომენდაციები, რომელიც გაიწერა მონიტორინგის ვიზიტის წარმოებისას, **დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული.** გასწორდა ჩანაწერები სტრატეგიულ გეგმაში, კატალოგში. ბიბლიოთეკის კომპიუტერებში ჩაწერილ იქნა ელექტრონული სახელმძღვანელოების ვერსიები. სტუდენტებთან დადებულ ხელშეკრულებაში დაემატა ჩანაწერი შინაგანაწესის გაცნობასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სტუდენტის/სტუდენტის მშობლის/მეურვის ხელმოწერით. კოლეჯმა შეიმუშავა ახალი მისია. დაიხვეწა შეფასების ინსტრუმენტები. მიმდინარე ვიზიტისას აღნიშნული საკითხები ექსპერტთა მიერ შემოწმებულია.

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პროცესში ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

VII.რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია:
მე-2 სტანდარტი.

ინდიკატორი 2.2.1. (1)

- სწავლის დაწყებამდე დაწებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარის მობილიზება.

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ იზრუნოს პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

<u>ინდიკატორი *2.2.1. (7)*</u>

- რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობაზე - 30 სტუდენტისთვის. დაწესებულებამ რენტაბელობის ზღვარი უნდა განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განვითარების რეკომენდაცია:

მე-2 სტანდარტი.

<u>ინდიკატორი *2.1.1. (1)*</u>

- დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის N15 ბრძანებაში „სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“ განხორციელდეს ცვლილება. დოკუმენტის დასახელებიდან და 1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საზოგადოებრივი“.

- საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთიანი კრიტერიუმები, რომელიც მეტად გამყარებული იქნება გამოკითხვებით, კვლევებით და სხვა მტკიცებულებებით.

ინდიკატორი 2.1.1. (3)

- სსიპ „კოლეჯის „იბერია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ 2.4 პუნქტში მითითებული ჩანაწერი „საწარმო პრაქტიკის ობიექტები“ შესაბამისობაში მოვიდეს ავტორიზაციის სტანდარტის ჩანაწერთან.

ინდიკატორი 2.1.1. (4)

- ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ნაბეჭდი სახის სასწავლო რესურსი გაციფრულდეს.

ინდიკატორი 2.2.1. (2)

- სასურველია, საგანმანათლებლო დაწესებულებამ დანერგოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასების და განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები.

<u>ინდიკატორი 2.2.1. (3)</u>

- დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში გაიწეროს საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პერსონალის მიღების შემთხვევაში, სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის ცნობის წარმოდგენის შესახებ.

- **სასურველია** დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში პუნქტებად გამოიყოს საკერავ მანქანებთან და ტენ-თბურ დანადგარებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

<u>ინდიკატორი 2.3.1. (1)</u>

- დაწესებულების მიერ ხარისხის მექანიზმები გაწერილია ორ დოკუმენტში - „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. სასურველია, „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტს მიეცეს კონსოლიდირებული სახე ხარისხის მექანიზმების ერთ სისტემაში მოყვანის მიზნით.

ინდიკატორი 2.4.1. (1)

- სასწავლო გეგმაში გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა. შესაბამისობაში მოვიდეს ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 თებერვლის N140303 ბრძანებასთან და ამოღებულ იქნეს „დაშვების წინაპირობის“ გრაფა.

ინდიკატორი 2.4.1. (6)

- სასურველია დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულ შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
  - ტერმინი „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ შეიცვალოს ტერმინით - სამკერვალო წარმოების სპეციალისტი;
  - ტერმინი „მოსწავლე“ შეიცვალოს ტერმინით -პროფესიული სტუდენტი;
  - ტერმინი „მასწავლებელი“ შეიცვალოს ტერმინით - პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ინდიკატორი 2.4.2. (3)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებებისა და უწყისების გაციფრულება.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში/Basic Vocational Qualification in Sewing Industry
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ-კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2021 წლის 05 მარტის №30 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ დამტკიცების შესახებ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. №61 **45 პროფესიული** სტუდენტი. მოდულური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	--
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**99**
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**-**
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	**114**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ კოლეჯი „იბერიას“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ შემუშავებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დირექტორის N126 ბრძანება, 20.07.2020). მისი განხორციელების დასაბუთება ეფუძნება რეგიონის განვითარების გეგმის მოთხოვნებსა და კოლეჯის ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საკმარისობას. სსიპ კოლეჯი „იბერია“ წარმოადგენს მრავალპროფილურ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლის მისიას წარმოადგენს „გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კადრების აღზრდა, მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების წახალისება და განვითარების ხელშეწყობა". სსიპ კოლეჯი ,,იბერია" აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება" შესაბამისობაშია მისიასთან.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას. <u>**დირექტორის N15 ბრძანებაში „სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია" სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია" (18.01.2019 წ.), უნდა განხორციელდეს ცვლილება და დოკუმენტის დასახელებიდან და 1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საზოგადოებრივი". აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.**</u>

პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში აღნიშნულია, რომ კოლეჯი ,,იბერია" 2016 წლიდან დღემდე წარმატებით ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,სამკერვალო წარმოება". დაწესებულებას გააჩნია თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სივრცე პრაქტიკული და თეორიული მუშაობისათვის. ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესია დღეისათვის მოთხოვნადია იმერეთის რეგიონში. დარგი არის განვითარებადი და მზარდი. პროგრამის წარმატებით განხორციელებას ხელს უწყობს ისიც, რომ სასწავლებელს მჭიდრო ურთიერთთანამშომლობა აქვს კერძო სექტორთან. კოლეჯის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ჩატარებული აქვთ კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, შრომის ბაზრის კვლევები და სწორედ ამ კვლევების საფუძველზე დადგინდა პროგრამის დამატების საჭიროება. მათ აღნიშნეს, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი თითქმის 100 %-ს უტოლდება. პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას დაადასტურეს კვალიფიციური კადრების საჭიროების საკითხი. <u>**კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების გაცნობის შემდგომ, კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია - შეიმუშაონ მიზანშეწონილობის დასაბუთების ერთიანი კრიტერიუმები და მეტად გაამყარონ გამოკითხვებით, კვლევებით და სხვა მტკიცებულებებით.**</u> <u>მიზანშეწონილია, რომ პროფესიულ სტუდენტთა პროგრამის დამატებისთვის კოლეჯის პროფორიენტაციის და</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

<u>კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაცია ასახულ იქნეს „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების“ დოკუმენტში.</u>

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახება ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების) საფუძველზე შექმნილ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს საბაზო განათლება. “სსიპ-კოლეჯ „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში“ (დამტკიცებული დირექტორის N24 ბრძანებით, 25.02.2021 წ.) განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებას. (ცვლილება 28.05.2020 N59/ნ). საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები, გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.წარმოდგენილია კოლეჯ „იბერიას“-ს დირექტორის N19 ბრძანება (2020 წლის 28 იანვარი) - სსიპ „კოლეჯის „იბერია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. მეთოდოლოგია განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 331 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია ზოგადი დებულებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელი გარემოებები.

ინტერვიურებისას, კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შემდეგი პარამეტრები:

- მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავო გარემო (A, B და C გარემო).
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა.
- საწარმო პრაქტიკის ობიექტების რესურსი.
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

<u>დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთების დანართის“ მიხედვით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი კვოტა განსაზღვრულია **45 პროფესიულ სტუდენტზე.**</u>

ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც მატერიალური რესურსი, ისე საგანმანათლებლო რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტთან, კერძოდ, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C გარემო. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ნაბეჭდი სახით.

<u>ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული საგანგებო სიტუაციიდან გამომდინარე, კოლეჯს ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაცია ნაბეჭდი სასწავლო რესურსის გაციფრულებასთან დაკავშირებით,</u>

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სამკერვალო წარმოება“ არჩევითი მოდულები არ აქვს.

6.საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019 წ. N129/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯ „იბერიას“ წესდება, რომლის მიხედვით (მუხლი 5. ქვეპუნქტი „ი“) დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას.

დაწესებულებას დირექტორის დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის №126 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების, შესახებ“.

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „სამკერვალო წარმოება“ შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ჩარჩო დოკუმენტთან, რომლის საფუძველზეც შეიქმნა აღნიშნული პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებული მისაღწევი სწავლის შედეგები ზუსტად არის განსაზღვრული.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8.საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“ შეესაბამება კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N24 ბრძანებით დამტკიცებულ „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს”, სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2021 წლის 05 მარტის №30 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ დამტკიცების შესახებ.
- დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N24 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N19 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- დირექტორის 2019 წლის 18 იანვრის N15 ბრძანება „სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“.
- დირექტორის 2020 წლის 29 აპრილის N91 ბრძანება „სსიპ კოლეჯ "იბერია"-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა“ .
- დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N19 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 19.06.2019 წ. N129/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ-კოლეჯ „იბერიას“ წესდება.
- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის №126 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.
- დირექტორის 2021 წლის 29 მარტის N50 ბრძანება „2021 წლის სამოქმედო გეგმა“.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☐შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 28 იანვრის №19 ბრძანებით დამტკიცებულია - „კოლეჯის ,,იბერია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართა პროგრამის ხელმძღვანელთან და სხვა განმახორციელებელ პირებთან.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფორმა №4 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ“ შესაბამისობაშია ექსპერტთა მიერ ვიზუალურად დათვალიერებულ გარემოსთან. კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ ფარგლებში უკვე გააჩნდა თანამედროვე, მატერიალური ტექნიკური აღჭურვილობა - 14 უნივერსალური საკერავი მანქანა, 3 და 5 ძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ღილკილოს შემსრულებელი და ღილის დასაკერებელი ნახევრად ავტომატური საკერავი მანქანები და სხვა. <u>**აღსანიშნავია, რომ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სამკერვალო წარმოება“ ითვალისწინებს დამატებით შესაძენ სპეც. მანქანებსა და სხვა რესურსებს, რაც შესყიდვის პროცესშია და ეტაპობრივად ხდება მათი მოწოდება. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულება გაფორმებულია კომპანიასთან, რომელიც შეიძენს და კოლეჯს გადასცემს მატერიალურ რესურსს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „შესაბამისობის გეგმიდან“ გამომდინარე, დაწესებულება გეგმავს მატერიალური რესურსების**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

შესყიდვის დასრულებას ა.წ. სექტემბრის თვეში. აღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეჯს განესაზღვრა მეტწილი შესაბამისობა. ინტერვიურებისას ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა აღნიშნული საკითხი. კოლეჯის წარმომადგენლებმა დაადასტურეს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ კოლეჯმა თვითშეფასების ანგარიშში განსაზღვრა ავტორიზაციის სტანდარტთან მეტწილი შესაბამისობა. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიღება განხორციელდება 2021 წლის შემოდგომაზე და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სწავლის დაწყების წინ კოლეჯის საკუთრებაში იქნება.

კოლეჯში შემუშავებულია „სსიპ კოლეჯის „იბერია“ მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (ბრძ. №26, 02.03.2021 წ.). დოკუმენტში გაწერილია მატერიალური რესურსების მართვისა და შენახვის წესი, პროგრამების მიხედვით რესურსების რეგულარული შეფასებისა და განვითარების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დოკუმენტში გაწერილია, რომ საფინანსო სამსახური/ინვენტარიზაციის კომისია ყოველწლიურად ატარებს ინვენტარიზაციას. ხოლო, მატერიალური რესურსის რეგულარულ შეფასებას ახდენს პროგრამის ხელმძღვანელი და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის კოორდინატორი.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 45-ს**. კოლეჯი გეგმავს პირველ გამოცხადებაზე **30 პროფესიული სტუდენტის** მიღებას. ჯგუფი დაკომპლექტდება 15-15 პროფესიული სტუდენტით. ამჟამად კოლეჯი ახორციელებს სწავლებას მილევად რეჟიმში. კოლეჯს ყავს 20 აქტიური პროფესიული სტუდენტი. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ როდესაც დასრულდება მიმდინარე ჯგუფებთან სწავლება, შემდგომ გამოცხადდება მესამე ჯგუფის (15 ადგილი) მიღება. კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარე ეტაპზე სწავლა მიმდინარეობს „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის“ პროგრამაზე. სწავლება გახანგრძლივდა ქვეყანაში არსებული პანდემიით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობით. განხორციელდა სასწავლო გეგმის ცვლილება. კერძოდ, სასწავლო გეგმებში წინა პლანზე გადმოწიეს თეორიული საკითხები. პრაქტიკული მეცადინეობები ჩატარდება ზემდგომი ორგანოდან ნებართვის მიღების შემდგომ. კოლეჯის IT სპეციალისტმა ყველა პროფესიულ სტუდენტს შეუქმნა პაროლი, რომლის მეშვეობითაც ახდენდნენ ონლაინ მეცადინეობებზე დასწრებას.

აღსანიშნავია, რომ მოდულში „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების ადგილად მითითებული იყო შემდეგი ჩანაწერი - „მოდულის სწავლება ხორციელდება სსიპ- კოლეჯში „იბერია“. მის : ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. N61 (C გარემო)“. პროგრამის ხელმძღვანელთან და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, **მოდულს პროფესიული სტუდენტები გადიან**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

<u>პრაქტიკის ობიექტებზე და არა სასწავლებლის სახელოსნოში (C გარემო).</u> <u>შესაბამისად, რეკომენდირებული იყო მოდულში მითითებული ჩანაწერის ცვლილება.</u> კოლეჯმა ვიზიტისას წარმოადგინა მოდული განხორციელებული ცვლილებით.

„გაცნობითი პრაქტიკის“ მოდულის განმახორციელებელ პირთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოდულის ფარგლებში მოაწყობენ ინფოტურს და პროფესიულ სტუდენტებს გაიყვანენ პარტნიორ კომპანიებში, სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნობიან საწარმოს მუშაობის სპეციფიკას და სამუშაო გარემოს. აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა პარტნიორი საწარმოს წარმომადგენელმა. **<u>ექსპერტთა რჩევით, სასურველია მოდულის დამხმარე ჩანაწერებში მოხდეს აღნიშნული ინფორმაციის მითითება.</u>** აღსანიშნავია, რომ კოლეჯის წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა რეკომენდაცია და **ვიზიტისას წარმოადგინა მოდული განხორციელებული ცვლილებით.**

დაწესებულებაში პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C გარემო. ექსპერტთა მიერ ვიზუალური შემოწმებისას დადგინდა, რომ ყველა გარემო უზრუნველყოფილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო სტუდენტს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის საჭირო მატერიალური რესურსით, დაფით, კომპიუტერითა და პროექტორით. A და B გარემოში სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ A და B გარემო ორცვლიანი დატვირთვის შემთხვევაში გამტარუნარიანია. პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ სწავლების ხანგრძლივობა არის 76 კვირა, სახელოსნოს კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ-ს. სასწავლო გეგმა ისე არის გაწერილი, რომ თითოეული ჯგუფისთვის C გარემოს დატვირთვა არ აღემატება 4 საათს, რაც სამცვლიანი სწავლების განხორციელების საშუალებას იძლევა.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა <u>მეტწილად უზრუნველყოფილია</u> დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ინფორმაცია <u>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსის</u> შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 4 პროფესიული მასწავლებელი. პროფესიული განათლების მასწავლებლის (საშტატო) დატვირთვის გაანგარიშებისას კოლეჯი ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ განსახორციელებელ ისეთ აქტივობებს, როგორიცაა - მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი და სხვ. პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს.
<u>აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.</u>

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლებლის მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებელ პირებს უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია. მათი სამუშაო გამოცდილება უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას. ინტერვიურებისას ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მომავალში დაგეგმილია მათი განვითარების ღონისძიებები. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ჩატარდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილ იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული ტრენინგებით. აცნობიერებენ მოდულური სწავლების სპეციფიურობას და გამოთქვამენ მზაობას დამატებით ტრენინგებში მონაწილეობისათვის. <u>**აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დანერგონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების შეფასების და განხორციელების ინსტიტუციური მექანიზმები.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის შინაარსი მოიცავს შრომის კოდექსით მოთხოვნილ არსებით პირობებს. მასში განსაზღვრულია ის მოდულები, რომლებსაც განახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმითა და ინტერვიუთი. დაწესებულების დირექტორის №30 ბრძანებით (05.03.2021 წ.) დამტკიცებულია პროგრამა და ხელმძღვანელი მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამაში.
დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-3 მუხლში განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის როლი. კერძოდ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების კოორდინაციის, განხორციელების, განვითარებისა და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანის პროცესების ხელმძღვანელობა.
ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. პროგრამის მოდულებში განსაზღვრულია სასწავლო რესურსი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შემოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომლობა. პსდ-მ წარმოადგინა არსებული სასწავლო რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ სასწავლო რესურსთან. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ მოდულებში განსაზღვრული სასწავლო რესურსი შექმნილია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და სრულად ფარავს პროგრამის მოდულებს. ასევე, მათ მიერ დამატებულია სახელმძღვანელოები ბეჭდური სახით. კოლეჯის ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსით სტუდენტთათვის შესაბამისი ცოდნის მიცემა და სწავლის შედეგების გამომუშავება შესაძლებელია.

კოლეჯმა წარმოადგინა 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულება“ და „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა. პროგრამის განხორციელებისთვის საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში როგორც მატერიალურად, ასევე ბიბლიოთეკაში დაცულ CD/DVD დისკებზე. მათი მოხმარება დარეგულირებულია დოკუმენტით „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი". დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგის ლინკი, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოიძიონ მისთვის სასურველი რესურსი http://www.library.iberia.edu.ge/home/index.php .

ექსპერტებმა ვიზუალურად დაათვალიერეს ბიბლიოთეკის გარემო.

ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ძირითადად იყენებენ საგანმანათლებლო რესურსს ელექტრონული სახით. დაწესებულების ბიბლიოთეკაში არსებულ სახელმძღვანელოებს მიმდინარე ეტაპზე მატერიალური სახით ვერ იყენებენ, ვინაიდან პანდემიიდან გამომდინარე სწავლა არ ხორციელდება კოლეჯის ტერიტორიაზე. <u>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მატერიალური სახით არსებული რესურსის გაციფრულებასთან დაკავშირებით.**</u>

ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. „სსიპ „იბერია" სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" (დირექტორის ბრძანება N24, 2021 წლის 25 თებერვალი) მე-5 თავში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7.პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, კოლეჯი ვაუჩერული დაფინანსების სახით იღებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს კოლეჯში განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე. **<u>რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა 45 სტუდენტისთვის -</u>** 396 954 ლარი.

კოლეჯს განსაზღვრული აქვს პროგრამის ბიუჯეტი, სადაც გაწერილია შემოსავლების ნაწილი და ხარჯების ნაწილი. <u>შემოსავლების ნაწილში</u> სულ განსაზღვრულია - 408 690 ლარი და <u>ხარჯების ნაწილში</u> - ლარი. ხარჯების ნაწილი მოიცავს: ხელფასი – 234 855 ლარი. მასალები - 162 099 ლარი. **<u>პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტიდან არ ჩანს რომელ ხარჯებში გადადის 11 736 ლარი (</u>**408 690-396 954=**<u>11 736)</u>**

<u>აღსანიშნავია, რომ რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა გათვლილია პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალურ რაოდენობაზე (45 სტუდენტი). რენტაბელობის ზღვარი უნდა დადგინდეს პროფესიულ სტუდენტთა მინიმალურ რაოდენობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია.</u>

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“.
- დირექტორის 2021 წლის 05 მარტის №30 ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოების“ დამტკიცების შესახებ.
- დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N24 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N19 ბრძანება „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“.
- დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანება „სსიპ კოლეჯი „იბერიის“ ბიბლიოთეკის დებულება“.
- დირექტორის 2019 წლის 25 სექტემბრის N343 ბრძანება „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“.
- დაწესებულების ვებგვერდი http://iberia.edu.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2021 წლის 24 თებერვლის N23 ბრძანება (დანართი 1) „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები“.
- დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს N299 ბრძანება (დანართი 1) „შინაგანაწესი“.
- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის №126 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების, შესახებ“.
- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ (ბრძ. №343, 25.09.2019 წ.).
- „სსიპ კოლეჯის „იბერია“ მატერიალური რესურსების განკარგვის წესი“ (ბრძ. №26, 02.03.2021 წ.).
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.
- ვიზუალური დათვალიერება.
- პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები.
- ბიუჯეტი.

შეფასება:

☐შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დირექტორის N290 ბრძანებით (2020 წლის 25 დეკემბერი) დამტკიცებულია „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელშიც განსაზღვრულია - ზოგადი დებულებები (მუხლი 1), ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები (მუხლი 2). ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პუნქტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განსაზღვრულია - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის სამსახურის მიერ განსახორციელებელი აქტივობები და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის რელევანტური მექანიზმები. აღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია, რომ ხარისხის სამსახური ახორციელებს მატერიალური რესურსის ხარისხის შეფასებას ყოველწლიურად (6 თვეში ერთხელ) ადმინისტრაციის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვის საფუძველზე. ასევე, საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის აწარმოებს სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვებს, პერსონალის გამოკითხვებს, დამსაქმებელთა და კურსდამთვრებულთა გამოკითხვებს, ესწრება ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობებს, ახორციელებს ვებ გვერდის მონიტორინგს, ახორციელებს კონტროლს პროფესიული განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესზე. დოკუმენტის ზოგადი დებულებების 1.3. ქვეპუნქტში მითითებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფისათვის კოლეჯის ხარისხის სამსახური იყენებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის მიდგომას. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებისას დაზუსტდა აღნიშნული საკითხები. <u>მათ სურთ, რომ კოლეჯში დანერგონ Google Drive სისტემის გამოყენებით გამოკითხვის მეთოდი, რაც გააადვილებს კითხვარების ანალიზს.</u> <u>აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი სტრატეგიულ გეგმაში არ არის განსაზღვრული.</u>

„პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკ. 07.07.2020 ბრძანება №126) დოკუმენტის პირველ მუხლში (ზოგადი დებულებები) განსაზღვრულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის თვითოეული პროცესის მნიშვნელობები. „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პირობები (მუხლი 3); გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის ვალდებულებები; მოცემულია ინფორმაცია ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსის შესახებ; მოცემული დოკუმენტის მე-4 და მე-5 მუხლებში განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებისა და შეფასება-განვითარების მექანიზმები. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამის შეფასება ხდება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით. ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ინტერვიურებისას დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.

ხარისხის მექანიზმები გაწერილია ორ დოკუმენტში - „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ და „პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“. ექსპერტთა მიერ გაიცა რეკომენდაცია „პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტს მიეცეს კონსოლიდირებული სახე ხარისხის მექანიზმების ერთ სისტემაში მოყვანის მიზნით.

კოლეჯში შემუშავბულია „სსიპ კოლეჯ „იბერიის“ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია (დირექტორის ბრძანება №135, 16.07.2020 წ.). კვლევის ამოცანებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეფასება, კოლეჯის ადამიანური და მატერიალური რესურსის შეფასება, კურსდამთავრებულთა დაუსაქმებლობის შემთხვევაში მიზეზების იდენტიფიცირება და სხვ. კოლეჯის ვებ გვერდზე ატვირთულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები. ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ძირითადად შემოიფარგლებიან მოკლე პასუხებით. მათი მხრიდან კითხვარებში ჯერ არ დაფიქსირებულა ისეთი შენიშვნა/მოსაზრება, რომელიც გათვალისწინებული იქნებოდა პროგრამების განვითარებისთვის. დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია 2021 წლის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, სადაც განთავსებულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია პროგრამების შესახებ. ვებგვერდზე დაანონსებულია „სამკერვალო წარმოების“ პროგრამის შესახებ ინფორმაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

2. დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის №126 ბრძანების „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, შრომის ბაზრის მოთხოვნის, ცენტრის მიერ განხორციელებული ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. დოკუმენტის მე-6 და მე-7 მუხლში გაწერილია ინფორმაცია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ და არსებული პროგრამების გაუქმების შესახებ. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე. დირექტორის N290 ბრძანებით (2020 წლის 25 დეკემბერი) დამტკიცებული დოკუმენტის „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების პუნქტში განსაზღვრულია - ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის სამსახურის მიერ განსახორციელებელი აქტივობები და საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანი განხორციელებისათვის რელევანტური მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პროგრამის შემოწმების თანამიმდევრობის განსაზღვრას, შესამოწმებელი ობიექტის განსაზღვრას, შესაფასებელი ობიექტის ადეკვატური შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას და შემუშავებას; პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის და პროგრამების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iberia.edu.ge/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანება ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“.
- დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N290 ბრძანება „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☐შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განხორციელებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ორი სასწავლო გეგმა: ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. ქართულენოვანი სტუდენტებისასთვის სასწავლო გეგმით განსაზღვრულია 20 სასწავლო კვირა, 99 კრედიტის ოდენობით, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 23 სასწავლო კვირა 114 კრედიტის ოდენობით. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა. გეგმაში დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სტუდენტის კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმის მიხედვით პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

<u>აღსანიშნავია, რომ სასწავლო გეგმაში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა. კერძოდ, დაშვების წინაპირობის გრაფაში იკითხება ჩანაწერები, რომლებიც შეესაბამება ცენტრის დირექტორის 2018 წლის 12 ივნისის №495/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის- "სამკერვალო წარმოება" დანართებს (ძალადაკარგულია). ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 თებერვლის N140303 ბრძანების მიხედვით მოდულებს დაშვების წინაპირობები არ გააჩნია, შესაბამისად არც სასწავლო გეგმაში არ უნდა იყოს აღნიშნული ჩანაწერები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული მოდულები შეესაბამება ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 თებერვლის N140303 ბრძანების ცვლილების შედეგად დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს.</u>

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია. საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია დისტანციურად სწავლების გამოცდილება.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. „საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ (დამტკ. 07.07.2020 ბრძანება №126) შესაბამისად, ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები დაფუძნებულია დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, დამსაქმებელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას, შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. მე-6 და მე-7 მუხლში გაწერილია ინფორმაცია პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ და არსებული პროგრამების გაუქმების შესახებ. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ხარისხის სპეციალისტს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებელს, პრაქტიკის ინსტრუქტორს კოლეჯის დირექტორისადმი წარდგენილი წერილობითი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე.

„სსიპ „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესშის“ მე-18 მუხლში განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტის მომდევნო მუხლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. დოკუმენტის მე-5 თავში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებები - ინდივიდუალური მუშაობა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყობს სტუდენტს შემდგომი განათლებით. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი იმოქმედებს გაწერილი რეგულაციების მიხედვით.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის არასრულწლოვან პირებთან.

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის ბრძანება №146 „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესი“, სადაც გაწერილია მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის პრინციპები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვლომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ინტერვიურებისას კოლეჯის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმები შედგება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შე მუშავების საჭიროება არ დამდგარა.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია თანამედროვე ხელსაწყოებითა და ინვენტარით. ინტერვიურებისას პროგრამის განმახორციელენელმა პირებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ზრუნავს მათ გადამზადებაზე სხვადასხვა მიმართულებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა სახლისა და კოლეჯის მიერ ტარდება ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებში. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი შეიძენს თანამედროვე მატერიალურ რესურსს, რომლის საშუალებითაც განხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვა.

ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

4. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ინტერვიურებისას გამოხატა მზაობა. კოლეჯს გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებდან გამომდინარე განსახორციელებელი მექანიზმების შესახებ.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5.პროგრამის ფარგლებში კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან:

- [redacted]
- სააქციო საზოგადოება სამკერვალო ფაბრიკა ,,იმერი".
- კომპანია ,,ქუთაისი ტექსტილე".
- კომპანია შპსMGtax".

დისტანციური ვიზიტისას განხორციელდა პრაქტიკის ობიექტის - სამკერვალო ფაბრიკის ,,იმერი" დათვალიერება. აღნიშნული ფაბრიკა წარმოადგენს დიდ საწარმოს, სადაც დასაქმებულია 450 პირი. მათ შეკვეთები აქვთ მიღებული როგორც ადგილობრივი დამკვეთებისგან, ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან. მიმდინარე ეტაპზე ასრულებენ შეკვეთას პოლონელი დამკვეთებისგან. ინტერვიურება წარიმართა ფაბრიკის წარმომადგენელ პირთან, რომელმაც კმაყოფილება გამოხატა წლების განმავლობაში კოლეჯის მიერ მომზადებული კადრების შესახებ და აღნიშნა, რომ სამკერვალო ფაბრიკა წლების განმავლობაში თანამშრომლობს კოლეჯთან და დასაქმებულთა დაახლოებით 70%-ს შეადგენს კოლეჯის კურსდამთავრებულები.

„გაცნობითი პრაქტიკის" მოდულის განმახორციელებელ პირთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოდულის ფარგლებში მოაწყობენ ინფოტურს და პროფესიულ სტუდენტებს გაიყვანენ პარტნიორ კომპანიებში, სადაც პროფესიული სტუდენტები გაეცნობიან საწარმოს მუშაობის სპეციფიკას და სამუშაო გარემოს. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პარტნიორ კომპანიებში ვიზიტი და პრაქტიკა განხორციელდება ორი მოდულის ფარგლებში, კერძოდ: - გაცნობითი პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა. ექსპერტთა მიერ შემოწმდა პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მემორანდუმში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. მემორანდუმები ფარავს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

სპერტთა შეფასებით, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში. A, B და C გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესები - მოწყობილია დაკვამლიანების დეტექტორები, ჭერზე და კედელზე განთავსებულია უწყვეტი ვიდეო სისტემა, პანდემიიდან გამომდინარე დაცულია მანძილები პროფესიული სტუდენტების სამუშაო მაგიდებს შორის. სასწავლო გარემო უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. C გარემოს ფართობია - 120 $მ^2$. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმების დაცვას მანქანა დანადგარებთან მუშაობისას. შესაბამისად შრომის უსაფრთხოების მენეჯერის ჩართულობით შემუშავებულია და კოლეჯის დირექტორის N19 ბრძანებით (24.02.2021) დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების ინსტრუქცია საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისთვისთვის“. სასურველია მოცემულ უსაფრთხოების ინსტრუქციაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

- ტერმინი „სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი“ შეიცვალოს ტერმინით - სამკერვალო წარმოების სპეციალისტი;
- ტერმინი „მოსწავლე“ შეიცვალოს ტერმინით -პროფესიული სტუდენტი;
- ტერმინი „მასწავლებელი“ შეიცვალოს ტერმინით - პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- უსაფრთხოების დოკუმენტში პუნქტებად გამოიყოს საკერავ მანქანებთან და ტენ-თბურ დანადგარებთან უსაფრთხოდ მუშაობის წესები.

გასაუბრებით დასტურდება, რომ პრაქტიკული სწავლების დაწყების წინ პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში უსაფრთხოების პირობები შეესაბამება მოქმედ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი (დირექტორის ბრძანება №137, 17.07.2020 წ.).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები (დირექტორის ბრძანება №137, 17.07.2020 წ.).
- საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმები (დირექტორის ბრძანება №137, 17.07.2020 წ.).
- საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iberia.edu.ge/
- დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N24 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ (დამტკ. 07.07.2020 ბრძანება №126).
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☐შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.4.2შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. .პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც ხდება სასწავლო პროცესის მართვა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა შეფასება - მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეფასების, გასაჩივრების, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის, კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

2. „სსიპ „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 21-ე მუხლში განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმები (შეფასებისს სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. დგინდება არის თუ არა შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის წესი, განმეორებითი შეფასების წესი, პროფესიული სტუდენტის შეფასების გასაჩივრების წესი. შიდა ვერიფიკატორი შეიძლება იყოს კოლეჯის იმავე მოდულის სხვა მასწავლებელი, იმავე პროგრამის სხვა მასწავლებელი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელთაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა. ვერიფიკატორი შემოწმების ანგარიშს წარადგენს ხარისხის მართვის მენეჯერთან დასკვნის სახით. დოკუმენტი დამტკიცებულია 2021 წლის 22 მარტს, დაზუსტებულია გარკვეული საკითხები. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ვერიფიკაცია განხორციელდება დოკუმენტში გაწერილი წესების სრულად დაცვით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3.სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, სტუდენტთა ნაშრომები და სხვა მტკიცებულებები ინახება დაწესებულებაში მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - მუხლი 22). დოკუმენტები, რომლებიც გამოირჩევა შესრულების ხარისხით და შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო ან სხვა მიზნებისათვის, შესაძლოა ინახებოდეს ბიბლიოთეკაში. სტუდენტთა შეფასების უწყისები ინახება კოლეჯში უვადოდ. უწყისების დაცვას უზრუნველყოფს არქივარიუს-ბიბლიოთეკარი.

<u>დაწესებულებას ექსპერტთა მიერ მიეცა რეკომენდაცია მტკიცებულებებისა და უწყისების გაციფრულებასთან დაკავშირებით.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. სასწავლო პროცესის მენეჯერმა განმარტა, რომ ახდენს შეფასების შედეგების ანალიზს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. აღნიშნული საკითხი ასახულია დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტში.
ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“.
- დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N290 ბრძანება „სსიპ „იბერია“ პროფესიული განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“.
- დირექტორის 2021 წლის 25 თებერვლის N24 ბრძანება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- დირექტორის 2020 წლის 07 ივლისი N126 ბრძანება „საგანამანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iberia.edu.ge/
- ინტერვიურება კოლეჯის წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☐შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

ქ. თბილისი. 29.04.2021

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: